ГАЗЕТИ ღირს:

თოვე	მან. კ.	თოვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს ტ. გრიმეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერიის“ 1 ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან. 50 კაპ.

ტფილისი, 6 ივნისს

ბ-ნი აკაკი წერეთელი თავის წერილში, რომელიც „ივერიის“ № 110 იყო დაბეჭდილი პასუხად ჩვენის მეთაურის წერილებისა ბანკის შესახებ, ბძანებს, რომ ბანკების თაობაზედ

„რაც მითქვამსო დღემდი და ან ახლა რასაც ვამბობ, ის შეეხებოდა და შეეხება მხოლოდ ქუთაისის ბანკსა; ტფილისის ბანკი არა მქონია სახეში და თუ ის ერთგვარობის გამო ესარჩლება, მისი ნებაო“.

რასაკვირველია მისი ნებაა, მაგრამ ჩვენს პოლემიკაში ტფილისის ბანკის მიერ სარჩლის გაწევა ქუთაისის ბანკის მიმართ საიდამ არის მოტანილი და რა შუაშია? ტფილისის ბანკს ამ საგანზედ ხმაც არ ამოუღია, არც თავის-თავს გამოსარჩლებია და არც სხვასა. თუ იმ მიზეზით უთქვამს ეს ბ-ნ აკაკის რომ „ივერიის“ რედაქტორი ტფილისის ბანკის გამგეობის წევრიც არის, ეგ კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ტფილისის ბანკი ჭლაპარაკობდეს. ტფილისის ბანკის სიტყვის გამომთქმელი მთელი გამგეობაა და არა მარტო ერთი წევრი. მაშასადამე, ტფილისის ბანკის სარჩლზედ ლაპარაკი, აქ სრულიად უადგილოა. ზემოხსენებულს თქმულს ბ-ნ აკაკისას დიდი მნიშვნელობა არა აქვს საქმის გარჩევისათვის და თუ ჩვენ ამის შესახებ ვსთქვით რამე, სახეში გვქონდა ჩვენის მეთაურის წერილების პასუხის მგებელობა ტფილისის ბანკისაგან აგვეცილებინა.

რაც შეეხება თვითონ საგანს საქმისას, რომელმაც გამოიწვია პასუხი ბ-ნ აკაკისა, ამ საგანზედ ფრიად საყურადღებო აზრია გამოთქმული ბ-ნ აკაკის მიერ. ეს ისეთი აზრია, რომელსაც კაცი გვერდს ვერ აუვლის და ასე თუ ისე ანგარიში უნდა გაუწიოს.

კარგი რამ, ან ავი თავის-თავობით არ იქნებაო, (?) ბძანებს ბ-ნი აკაკი: ეგ შედარებითი ღირსებაა. ყოველიფერს შესაფერი დრო ეჭირვება და მოხდენილი ნიადაგი.

თუმცა ეს აზრი ცოტა არ იყოს მოუძველებს და ხშირად ახლის წინააღმდეგ მოჰყავთ ხოლმე ძველის მომხრეებს, მაგრამ მაინც განკითხვა უნდა, რადგანაც ბევრმა იცის ხოლმე ამ აზრის ხელზედ დახვევა და მისის ძალით უარყოფა და გაცუდება ახლად შემოსადებისა. ამ აზრით ბ-ნ აკაკის იმის თქმა უნდა, რომ ბანკი ჩვენთვის ადრეული ხილიაო, ამისათვის არც ჩვენ ვიყავით მომზადებულნი და არც ჩვენის ცხოვრების ნიადაგიო. ეს იყო მიზეზიო, რომ მე თავდა პირველადვე ბანკის დაარსებას უარ-ვყოფდი და ვეწინააღმდეგებოდიო.

ამ თეორიას რომ ავუვეთ, ყოველივე წარმატება ცალკე კაცისა, თუ ერთობ საზოგადოებისა და ერისა შეუძლებელი უნდა იყოს. ცივილიზაცია, განათლება, წინსვლა უქმი სიტყვები-და იქნება. ქვეყანა იმითი მიდის წინ, რომ ეგ აგრე არ არის. ყოველივე დიდი საქმე კაცობრიობისა, ყოველივე ახლად შემოღებულნი, ახლად აღმოჩენილნი სიკეთენი, რა თქმა უნდა, მომზადებულ ნიადაგზედ იბადებიან და ჩნდებიან, ხოლო რაკი ერთხელ გაჩნდნენ ერთს რომელსამე ნიადაგზედ, სხვა ნიადაგზედაც სახეირონი არიან, სხვა ნიადაგსაც არ ეუცხოებიან. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ არსება, ბუნება ახლად შემოსადებისა, რომელიც თუნდ სხვა ნიადაგზედ იყოს ნაცადი და აღმოცენილი, თავისთავად სარგო და ხეირიანი იყოს. როგორც ცალკე ადამიანი, ისე მთელი საზოგადოება სწრაფად გაივლის ხოლმე იმ სივრცეს ცხოვრების და მეცნიერების გზისას, რომელიც უკვე გამოუვლია სხვა საზოგადოებასა და სხვა ერსა, თუნდ რომ უკანასკნელთ ამ სვლაში მოენდომებინოს მთელი საუკუნოებიცა. თან დაყოლილი თვისებაა ადამიანის ჯკუისა, რომ ათასის წლის ნალვაწსა, ნაცადსა და ნამოქმედარსა სწრაფად შეითვისებს და შეიხორ ცებს ხოლმე. ყოველივე მადლი და კეთილი ცივილიზაციისა, რომელსაც იქნება მთელი საუკუნოები მოსდომებია აღმოსაჩენად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად, ამ ადამიანის ჯკუის თვისების წყალობით მოჰფენია მთელს ქვეყნიერობასა. თუ ეს არ იყოს, ან ცალკე კაცი როგორ უნდა მომზადდეს უკეთესისათვის, ან საზოგადოება? მაშ სხვის ნაკვლევს, სხვის ნაცადს, სხვის ნამოქმედარს არავითარი ღირსება არ უნდა ჰქონდეს ჩვენში? მაშ ჩვენ ჩვენს გალავნებში უნდა ვიყვნეთ შეკეტილნი, როგორც ჩინელნი არიან, და ველოდოთ, აცა როცა მოვემზადებით, მაშინ მოვიწვიოთ კეთილიცაო?

საადგილ-მამულო ბანკის სიკეთე სხვაგან ბევრგან უცდიათ. საცა პირველ გაჩნდა მაგისთანა ბანკი, იქ მაშინ მიწათ-მფლობელთა საქმე ჩვენზედ ბევრად უარესს დღეში იყო და მით იგი არავის დაუწუნია. აი რას ამბობს ერთი მეცნიერი: *)

შვიდ-წლიანი ომი რომ გათავდა, მამულ-დედულის საქმე პრუსიის მემამულეთა სულ პირ-ქვე დამხობილი იყო, პროვინციები, საცა კი ჯარი იდგა, სულ აოხრდა და გაგერანდა. მარტო ერთი ქონებაღა შერჩათ — ცარიელი მიწა. სახლები და საოჯახო შენობანი გადიწვნენ და დაიქცნენ, პირუტყვი — საქონელი ან სულ არსად იყო და საცა იყო, სულ გაწყდა

*) Поземельный кредитъ и его современная организація въ Европѣ. (стр. 28)

ფელეტონი

უცხოთა ზღარის

ვან-დერ-სმისენის თავ-გადასავალი. — ლუდვიგ ბერნეს დაბადების დღის დღესასწაულობა. — ჯემს უაიტი — რკინის გზის მომგონი. — მაიმუნი — ფორტეპიანოს დამკვრელი.

ამ ცოტა ხნებში ბელგიის სატახტო ქალაქს ბრიუსელში ერთი მკვლელობა მოხდა, რომელმაც მთელი ბელგია აალაპარაკა. მკვლელობის მიზეზი ცილის-წამება და ადამიანის უმადურობა იყო. ამ ცილის-წამების და უმადურობის მსხვერპლად ქალი შეიქმნა.

ამ ქალის მკვლელი მისივე ქმარია, სახელად ვან-დერ-სმისენი. თუმცა ეს სახელი გამოსათქმელადაც კი ძნელია, მაგრამ არა უშავს-რა ცოტა ხანს ენაც რომ მოვიტეხოთ. ამის მაგიერ ბევრს საინტერესოს რასმეს შევიტყობთ ამ მკვლელობის საქმიდამ, რადგანაც საქმეში რომანიც არის გარეული.

ვან-დერ-სმისენი ჯერ თუმცა ახალგაზდა კაცია; სულ ოც-და-თერთმეტის წლისაა, მაგრამ სახელი კი დიდი ჰქონია და ადგილიც მაღალი ეჭირა. ბუნებითვე ნიჭით მდიდარი იყო, მხნე, გამბედავი, საქმის მოყვარული, ვან-დერ-სმისენი დიდს სამსახურს უწევდა სამშობლოს, ბელგიის პოლიტიკურ ცხოვრებას განსაკუთრებითს ფერსა სდებდა. თვითონ «კონსერვატორებისა» და «კლერიკალების» დასების მომხრე სულს უდგამდა ამ დასებს; მინისტრებს, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა. როდესაც ამ წელს ბელგიაში მუშა ხალხის არეულობამ შიშის ზარი დასცა სახელმწიფოს, მაშინვე ვინ-დერ-სმისენს მიჰმართეს და მართლაც ცოტა ხნის განმავლობაში ვან-დერ-სმისენმა სრულიად მოსპო აჯანყებულის ხალხის მოძრაობა. სახელმწიფოს მეთაურებმა უყურადღებოდ არ დასტოვეს ვან-დერ-სმიენის სამსახური სამშობლოს წინაშე, კიდეც აპირებდნენ მადლობის გადახდას და უნდოდათ მინისტრის ადგილი მიეცათ, მაგრამ უცბად ამ კაცის საქმე სულ უკუღმა დატრიალდა და მინისტრის სავარძელის მაგიერ, სასამართლოში ბრალდებულთა სკამზე დაჯდომა-კი მოუხდა. თუმცა ვან-დერ-სმისენი ეკლესიის მსახურთა ერთგული მომხრე და მღვთის მოსავი კაცი იყო, მაგრამ მაცდურის ევის მომხიბლავ ძალას მაინც ვერ ასცდა. მაცდურ ევად მას ერთი არტისტი ქალი გამოუჩნდა. ამ არტისტმა ქალმა ისე არტისტურად გაიტაცა ვან-დერ-სმისენი, რომ მან გადასწყვიტა მისი ცოლად შერთვა. თუმცა მშობლები, ნათესაევები, მეგობრები და თანა-მოაზრენი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და ემუქრებოდნენ კიდეც, რომ შენზედ სრულიად ხელს აიღებთო, მაგრამ გატაცებით შეყვარებულმა თავისი არ დაიშალა და ჯვარი დაიწერა. ცოლ-ქმარი ბედნიერად სცხოვრებდნენ. ერთმა გარემოებამ სრულიად მოულოდნელად დაარღვია ამათი ბედნიერება.

ბრიუსელში გამოჩნდა ერთი ლამაზი, მაგრამ გარყვნილი და ზნეობით წამხდარი ყმაწვილი კაცი, სახელად კადიგანი. კადიგანს რაღაცა არა-წმინდა საქმეები შეუტყეს, დანაშაულად იცნეს და სამსჯავროში მისცეს. კადიგანმა დამცველად ვან-დერ-სმისენი ამოირჩია. — ზემოდ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ვან-დერ-სმისენი სხვათა შორის განთქმული იყო, როგორც ჩინებული ადვოკატი. — ვან-დერ-სმისენმა დიდის სიამოვნებით იკისრა ბრალდებულის დაცვა და თავი ისე ისახელა, რომ კადიგანი სრულიად გაამართლეს. კოკა წყალზე გატყდებაო, — იმისი არ იყოს, — კადიგანმაც თავისი არ დაიშალა: პარიჟში კიდევ რაღაც საძაგელი საქმე ჩაიდინა და, რომ სასამართლოდამ თავი დაეხწია, ბრიუსელში გამოიქცა და ვან-დერ-სმისენს მფარველობა სთხოვა ვან-დერ-სმისენმაც სული და გული გაუხსნა და ისე მიიღო, როგორც თავისი უკეთესი ძველი მეგობარი. გარყვნილი კადიგანი-კი მეგობარს მეგობრულად ვერ მოექცა. კადიგანი შინაურივით იყო ვან-დერ-სმისენის სახლში მიღებული, „ოჯახის მეგობრად“ ითვლებოდა და ამან კი მეგობრობა ფეხ-ქვეშ გაჰქელა. დაუწყო არშიყობა თავის მეგობრის ახალ-გაზდა ცოლსა, უღალატა კაცსა, რომელმაც უბედურობისაგან იხსნა, და მადლობა იმითი გადუხადა, რომ მეგობრობა მეგობრის ცოლის სიყვარულზე გასცვალა.

მაგრამ კადიგანი ვერც სიყვარულმა მოარჯულა. რაღაც სისაძაგლე ჩაიდინა კიდევ და ბრიუსელიდამ გაქრა. დიდი ხანი იმალებოდა და ბოლოს მაინც დაიჭირეს და აი მესამედ ბრიუსელის სასამართლოს წინ წარსდგა. რაკი ნახა კადიგანმა, რომ სასამართლოს ხელიდამ ველარ წაუვალო, სხვა უკეთესი ვერა მოიგონარა, და ყველა თავის სისაძაგლე ვან-დერ-სმისენს დააბრალა. უსირცხვილოდ გამოააშკარავა სასამართლოს წინაშე თავისი კავშირი ვან-დერ-სმისენის ცოლთანა, ცილი შესწამა თვითონ ვან-დერ-სმისენსაც, ვითომ მას სცოდნოდეს როგორც ეს კავშირი, ისე ყველა ამისაგან ჩადენილი საზიზღარი საქმეები, მაგრამ ვითომ ის განგებ თვალს ჰხუჭავდა, ხელს უწყობდა და მფარველობას უჩენდა.

თუმცა ყველა ეს სრული სიცრუე და ცილის-წამება გამოდგა, მაგრამ ვან-დერ-სმისენი მაინც ისე გაამწარა ამ ამბავმა, რომ მაშინვე გადასწყვიტა ცოლს გაჰყროდა. როდესაც ნათესავებმა და მეგობრებმა გაიგეს ესა, ძალიან იამათ და თვითონვე იკისრეს კიდეც ამ საქმის მოხერხება. ვან-დერ-სმისენმა უეცრად შესცვალა თავისი განზრახვა, ცოლს ისევ შეურიგდა და დაიწყო მასთან სიარული. მეგობრებს ეს ძალიან ეწყინათ, ძალიან გაუწყრნენ და სრულიად მოსპეს კიდეც მასთან ყოველ-გვარი კავშირი.

ვინ-დერ-სმისენი ხელ-ახლად გადატრიალდა. ეხლა კი, როგორც აღმოსჩნდა, საქმე საბოლოოდ გარდაეწყვიტნა. ერთს ღამეს გატენილი ექვსლულიანი დამბაჩა ჩაიდო ჯიბეში, შინიდამ გამოვიდა ჩუმად, მივიდა თავის ცოლთან, ხუთჯერ დასცა დამბაჩა და ისე მძიმედ დასჭრა, რომ უბედური ქალი რამდენისამე დღის უკან გარდაიცვალა.

ვან-დერ-სმისენი დაიჭირეს და სამართალში მისცეს. მსაჯულებმა არ შეიწყნარეს ამის თავის-გამართლება და **ოხუთმეტის წლით** კატორგა გადუწყვიტეს.

ვან-დერ-სმისენი თურმე სრულიად არ მოელოდა ასეთ სასტიკ სასჯელსა. ამას სრული იმედი ჰქონდა თურმე, რომ სრულიად გაამართლებენ. როდესაც გარდაწყვეტილება წაუკითხეს, ვან-დერ-სმისენი გაფითრდა, ლონე-მოშვებული დაეშვა სკამზე და საშინელს ქვითინს მოჰყვა თურმე. სასამართლოს მატიანეში რომ არ იყოს ეს საქმე ჩაწერილი, კაცი ვერც კი დაიჯერებდა, რომ ეს ნამდვილი ამბავიაო; კაცს ისე ჰგონია, თითქოს საგანგებოდ დაწერილ რომანსა ვკითხულობო. მართლაც და ძნელი დასაჯერებელია. კაცი მინისტრის ადგილს ელოდა, კაცს უნდა მთელის სახელმწიფოს საქმეების გამგეობა ეკისრნა, და ეხლა კი ტუსაღის ტანისამოსში, ნამუსს ახდილი უნდა გაემგზავროს იქ, სადაც ყოველი ავაზაკი უნდა მის თანაბარ ამხანაგად იყოს, სადაც ყოველ დღე მიწაში მუშაობის და ტანჯვის მეტი არა მოელოს-რა. როგორ არ მოგაგონდება აქ რუსთაველის სიტყვები:

ჰე სოფელო, რა შიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
სადაურსა სად წაიყვან,
სად გაუთხრი სადით ძირსა...

* * *

იმ დროს, როდესაც მთელი ბელგია ვან-დერ-სმისენის მკვლელობაზე ლაპარაკობდა, გერმანიას სულ სხვა გვარი ამბავი აღელვებდა. გერმანია დიდის პატივით და დიდებით ღღესასწაულობდა ერთის თავის საუკეთესო მამულის შვილის დაბადების დღეს.

შიმშილისა და უჭმელობისაგან, სახნავი მიწები რამდენსამე წელს უქმად იყვნენ დარჩენილნი. მამულების ფასმა ორ მესამედსა და ნახევარზედ ძირს დაიწია. ეს გარემოებანი ომის დროს არ იჩენდნენ თავს და რაკი 1763 წელს შერიგება ჩამოვარდა, მაშინ წარმოუდგნენ ყველას თვალ-წინ. თუმცა საზარელი ომები იყო, მაგრამ მეპატონენი ამ ომებს ბევრს გამორჩნენ; დიდი ფული დაუტრიალდათ ხელში. ამ გამორჩომამ წაიტყუა ისინი და ფლანგვას და ტყუილ-უბრალო ხარჯს ბოლო აღარა ჰქონდა. ბოლოს რომ თავისი შემოაკლდათ, ვალების აღებას მიჰყვეს ხელი და დიდ-ძალი ვალი დაატყდათ.

სწორედ ამ დროს, ამისთანა უნუგეშოდ ყოფილს მიწათ-მფლობელობას მოაშველა პრუსიის მთავრობამ საადგილ-მამულო კრედიტი, რადგანაც უკეთესი სახსარი სხვა ვერა იპოვა-რა. 1770 წელს სილეზიაში გამართა პირველი საადგილ-მამულო ბანკი, მერე 1777 წ. გაიმართა ბანკი ბრანდერბურგს, პომერანიაში 1780 წ., დასავლეთს პრუსიაში 1787 წ., აღმოსავლეთს პრუსიაში 1788 წ. და 1821 წ. პოზნანში.

რომ ამ ქვეყნებს დიდი შეღავათი მისცა საადგილ-მამულო კრედიტმა და თითქმის ფეხზედ წამოაყენა, ეს ამბავი დღეს ეჭვ გარეშე არის. მაშასადამე, საადგილ-მამულო ბანკს თვის არსებასა და ბუნებაში არავითარი საწამლავი არა აქვს მემამულეთა დასაღუპავად. ჩვენის მოუმზადებლობის ნიშნად და საბუთად ბ-ნ აკაკის მოჰყავს, რომ:

„ჩვენმა ხალხმა, ქალთველმა დღესაც არ იცის, თუ როგორ უნდა მოხმარება ფულსაო: ან უნდა შესჭამოს და ან კიდობანში ჩადვას უმოძრაოდაო.“

იქნება ეგრეც იყოს, ხოლო ზემო მოყვანილ მეცნიერის სიტყვებიდამ სჩანს, რომ ამ ასის წლის წინად არც პრუსიის თავად-აზნაურობას სცოდნია ფულის მოხმარება, მაგრამ ამას არ დაუშლია საადგილ-მამულო ბანკების გამართვა. პირი-ქით ზედი-ზედ გაუმართავთ კიდეც და იმით სამველი და სახსარი უპოვიათ, როგორც დღესა სჩანს.

ახალი ამბავი

*** 4 მაისის გრიგალს ბევრი ზარალი მოუტანია ქალაქისათვის, სახლებში ფანჯრები ჩაუმტვრევია, შენობები დაუზიანებია. ბაღის ქუჩაზედ არღუთინსკის სახლების ეზოში ერთი 70 წლის ხე ამოუგლეჯია ფესვებიანად, ტელეგრაფის მავთულები გაუმრუდებია, «ლონდონის» სასტუმროს გვერდზე საფოტოგრაფო პავილიონი დაუქცევია და სხ. ქალაქის ბაღები ისე გაანადგურა თურმე, რომ ზედ ერთი მარცვალი ხილი არ გაუშვა და სულ ძირსა ჰყრიდა, ბაყლები და ბაღების მოიჯარადრები ტიროდნენ, იქამდე გული მოსწყდათ ამისთანა ზარალის გამო; დიდუბის მინდვრებიდგან აბულულებული თივა მოუტაცნია და მტკვარში ჩაუყრია; ისეთი ძლიერი გრიგალი ყოფილა, რომ ბევრი სახლი ზანზარებდა მის ქროლვის დროსაო. შინაურ ფრინველებს, ქათმებს, ინდოურებს, წიწილებს და სხვათა ჰაერში იტაცებდა, ერთ საათამდე ატრიალებდა და მერე ვინ იცის, სად გადაჰკარგავდაო.

*** ამობენ, რომ რევიზია უნდა მოუხდინონ ტფილისის სახელოსნო გამგეობასაო.

*** წარსულის თთვის მაისის განმავალობაში ტფილისში შემდეგი უბედურება და ავკაცობა მომხდარა: ცეცხლი წაუკიდებიათ—1, უბედურება სიკვდილით ყოფილა—3, თვითმკვლელობა—3, კაცის-კვლა—2, მკვდარი უპოვნიათ—1, ყმაწვილი მიუგდიათ—5, ქურდობა ყოფილა—6 და განსაკუთრებითი შემთხვევები (დაჭრა კაცისა, ჩხუბი და სხვა)—2.

*** როგორც სწერენ გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“, წარსულ 1885 წლის განმავალობაში 591 ქორწინება მომხდარა; ახლად დაბადებულთა რიცხვი 2,476 სული ყოფილა, ორივე სქესისა (ამათში 157 ყმაწვილი უკანონონი არიან თურმე). ამ 2,476 სულში 1,212 დედათა სქესს ეკუთვნის და 1,264—მამათა სქესსა; გარდაცვლილა მთელის წლის განმავალობაში 2,091 სული: 1,075 მამათა სქესისა და 1,016 დედათა სქესისა.

*** როგორც ამბობს იგივე გაზეთი, ტფილისში 11 ფაბრიკაა. ამ ფაბრიკებს აქამდე 838,000 მანათის საქონელი უკეთებიათ. ამ ფაბრიკებზე მომუშავეთა რიცხვი 1,000 სულამდე შეადგენს. ქარხნები ტფილისში 187-მდეა, ამათში 1 კართოფილის სანთლისაა, 3 საპნისა, 8 კრამიტისა, 2 წმინდა სანთლისა, 1 თუჯის ჩამოსასხმელი, 1 ზეთის გამოსახდელი, 4 პივისა, 8 ფიცრის სახერხი (4 ორთქლით მომუშავე და 4 ხელისა), 18 ჩილინგდარისა, 3 კირისა, 52 აგურისა, 1 სალუსკუმო (скульптурный), 5 ეტლთა გასაკეთებელი, 3 აბრეშუმისა, 6 საღებავი, 2 სარაჯებისა, 11 ტყავისა, 38 დურგლისა, 12 სამადნეულო წყლებისა, 2 არყის გამოსახდელი, 1 ტყვიის მილებისა, 1 ძეხვეულობის ქარხანა და 1 ძვლის საგნების საკეთებელი ამ ქარხანებს სულ 2,209,800 მანათისა უმუშავნითა და მათში 1,000 სულამდე კაცი მუშაობს.

*** 5 ივნისს, პოლიციის 1 ნაწილში, გრიბოედოვის ქუჩაზედ მცხოვრებელს, ეჩმიაძინის მღვდლის შვილს მიკირტიჩ მალინციანცს უნდოდა როგორმე გაესაღებინა ორი ყალბი ოც-და-ხუთ მანათიანი და ამ აზრით გარდასცა დასახურდავებლად ტფილისის მცხოვრებელს ივანე ბაღდასაროვს, და ეს ბაღდასაროვი დაიჭირა პოლიციამ და გამოართვა ეს ყალბი ფული. გამოძიება სწარმოებს.

*** ქუთაისიდგან გვატყობინებენ: აქ ცეცხლის წაკიდება ისე გახშირდა, რომ ჩვენს ქალაქში რომ შემოხვიდეთ, ასე გეგონებათ, მტერი შესევია და მთელი ქალაქი გადაუბუგავსო. ამ ჩვენს ქალაქში ამ დღეებში ორი თვით მკვლელობა მოხდაო.

*** ყვირილიდგან გვატყობინებენ, რომ ყვირილის ხიდი მეტად გაფუჭებულია, ალა-ალაგ ჩატეხილია და ძლივს იმაგრებს გამვლელსაო და მაინც ყურადღებას არავინ აქცევს და შეკეთებას არ უპირობენო. მით უფრო სამწუხაროა ესა, რომ ყვირილელებს ამ ერთად-ერთის ხიდის მეტი სხვა ხიდი არ გვაბადიაო.

*** ბორჯომიდგანა გვწერენ: ბორჯომში მუდამ დღე წვიმა მოდის და ტაროსი დღეში სამ-ოთხ ნაირად იცვლებაო. სახლები თითქმის სულ დაჭერილია და წლეულს კარგ «კურსს» მოელიანო. არც ძვირადა ჯდება აქ ცხოვრებაო. ხორაგეულობა იაფიაო. აქაურ საყასბოებში მშვენიერი ხორცი იყიდებაო. თითქმის ყოველ დღე ჩამოაქვთ სოფლებიდამ ერბო, კვერცხი და ქათმები სოფლელებს და უმეტესად ებრაელებსაო. სახლების ფასი შარშანდელზე მეტიაო.

*** ახალ-სენაკიდამ ძალიან უჩივიან იქაურ მომრიგებელ მოსამართლეს, 8 საათზე იბარებს საიდგან სად გლეხებსა და 12—1 საათზე საქმეების გარჩევას იწყობსო. ძალიან სასურველი იქნებოდა, რომ ამ საქმისთვის ყურადღება მიექციათ, ვისიც ჯერ-არსო. (Юрид. Обоз).

*** გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ის სიტყვით, ამ დღეებში ქალაქში აპირებს ჩამოსვლას ძველთა ნაშთთა გამოსაკვლევად ფრანსიელი არხეოლოგი ბ-ნი დიუგამელი. დიუგამელს განზრახვა აქვს მოელი წელიწადი დაჰყოს

---

6 მაისს სწორედ ასი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც გერმანიის ერთს პატარა ქალაქში დაიბადა ის კაცი, რომელსაც დღეს გერმანია ასეთს პატივსა სცემს. ამ კაცის სახელი—ლუდვიგ ბერნეა. ბერნე დაიბადა 1786 წელსა; შთამომავლობით ებრაელი იყო. „ბერნე,—ამბობს გამოჩენილი პოეტი ჰეინე, არც გენიოსი იყო, არც გმირი, არც ოლიმპის ღმერთიო“. მაშ რით დაიმსახურა ასეთი სახელი, რომ დღეს მთელი გერმანია პატივსა სცემს?

მართალია, ბერნე არ იყო არც გამოჩენილი სარდალი, არც სახელმწიფო საქმეების მმართველი, არც ფილოსოფოსი; ბერნეს სახელი არ მოუხვეჭია ბრძოლის ველზე, თავი არ უჩენია, როგორც პოლიტიკურ დასების მეთაურს, ქვეყნისთვის არ შეუძენია ერცელი და ღრმა-აზროვანი ფილოსოფიური თხზულებანი. არა, ბერნემ ერთხელ და ერთხელ მტკიცედ შემოიქარგლა თავის მოქმედების ასპარეზი,—და მთელი თავის სიცოცხლე დაუღალავად იბრძოდა ამ ასპარეზზე. ბერნეს ასპარეზი ლიტერატურა იყო და განსაკუთრებით ჟურნალ-გაზეთობა, მისი იარაღი—კალამი, და ეს იარაღი სიკვდილამდე ხელიდამ არ დაუგდია.

უნივერსიტეტში სწავლის შესრულების შემდეგ, ბერნე პოლიციაში შევიდა მწერლად. მაგრამ მალე დაინახა, რომ ეს სამსახური მისთვის სრულიად შესაფერი არ იყო. ბერნე ჰგრძნობდა, რომ იგი ბუნებითვე ჟურნალისტად არის დაბადებული, და სულით და გულით ლიტერატურულ ჯაფას მიეცა. ბერნე თამამად გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე და პირველ ხანშივე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მისი მართალი, გულიდამ ამოღებული ღრმა, გრძნობით სავსე სიტყვა, ხან ნაკადულივით მშვიდი და წყნარი, ხან მეხივით მრისხანე და მედგარი, მისი სიტყვა ყოველთვის მძლავრი და ცხოველი, თუმცა ხშირად კი ეკლიანი, მისი კალამი მუდმივ მკაცრი და ხშირად მახვილსავით ბასრი, მისი მახვილობა ხან შხამიანი, ხან თბილის, ოქროს ფეროვან სხივებით მოფენილი, ხან ელვარებასავით ბრწყინვალე, ყველა ეს ისეთ მომხიბლავ ძალას აძლევდა ბერნეს ნაწერებს, რომ ძალა-უნებურად იზიდავდა თანამედროვე საზოგადოების ყურადღებას. თუმცა ესე-იყო, მაგრამ ბერნე, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის უმალვე, ერთს რაღაცა წერილის გამო, ციხეში ჩასვეს. ამ გარემოებამ უფრო მეტი მნიშვნელობა მისცა ბერნეს ნაწერებსა და ბერნეს სახელი უფრო შორს... გაითქვა.

1831 წელს ევროპაში დიდი მოძრაობა იყო. ლიტერატურამ, როორც ცხოვრების მიმდინარეობის გამომხატველმა, ეს მოძრაობა უყურადღებოდ არ დასტოვა. ბერნემ პირველმა ამოიღო ხმა, ხელი მისცა სახელ განთქმულს პოეტს ჰეინეს, და ორივენი ერთად მხნედ შეუდგნენ საქმეს. ამის გულისთვის გერმანიაში ბერნეს დევნა დაუწყეს და ბერნე იძულებული იყო პარიჟში გაქცეულიყო და თავის მოქმედებაც იქ გადაეტანა. აქ დაწერა ბერნემ თავისი გამოჩენილი „წერილები პარიჟიდამ“, რომელიც ბერნეს უკეთესს თხზულებად ითვლება და ეხლაც დიდის სიამოვნებით იკითხება.

ბერნეს სამშობლოს ნახვა ველარ ელირსა, პარიჟში გარდაიცვალა 1837 წელსა.

***

ინგლისი გერმანიას უკან არაფერში ჩამორჩება. ინგლისმაც ლირსეულად იცის პატივის-ცემა იმ მამულის შვილებისა, რომელთაც თავის ჭკუით და ცოდნით არამც თუ მარტო თავის სამშობლოს, არამედ მთელ კაცობრიობას დიდი და შეუდარებელი სარგებლობა მოუტანეს.

ვინ არა ჰკვირობს ეხლა, როდესაც გემს ან რკინის გზას უყურებს? ვინ არა ჰლოცავს ეხლა ამათ მომგონს, როდესაც ორი-სამის დღის საველელ გზას რამდენსამე საათს-ღა ანდომებს? მაგრამ იქნება ბევრმა არც კი იცის, ვინ იყო ეს კაცობრიობის კეთილმყოფელი. გემიც და რკინის გზის მატარებელიც ორთქლის ძალით დადის. ის კაცი, რომელმაც პირველად ორთქლის ძალას მიაგნო და საქმეში მოიხმარა, ინგლისელი იყო. ამ კაცის სახელი—ჯემს უაიტია. ინგლისელები დიდის პატივით და მოწიწებით ეპყრობიან ყველაფერს, რაც კი ჯემს უაიტის სახელს მოაგონებთ. ამ ხანებში ინგლისის მთავრობამ თავის საკუთრებად შეიძინა ის სახლი, სადაც უაიტმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე გაატარა. სახლის გარშემო მშვენიერი საზოგადო ბაღი გააშენეს, თვითონ სახლი მუზეუმად გადააკეთეს უატის სახსოვრად. ეს სახლი ერთს დიდს სოფელშია ქალაქ ბირმინგამის ახლოს. შენობა აქამდინ მთლად არის შენახული. ის ოთახიც კი, რომელშეც უაიტი სცხოვრებდა და მუშაობდა ისევ ისე შენახულა, როგორც უაიტის სიკვდილის დროს იყო.

აი როგორ აფასებენ ინგლისელები საქვეყნოდ მოღვაწესა. სიცოცხლე ხომ სიცოცხლეა, მაგრამ სიკვდილი კი სიკვდილი არ არის იქ, სადაც კაცის სამსახურს და ღვაწლს ასეთი პატივი მოელის თავის თანამემამულეთაგან.

***

მუსიკის მოყვარეებს ახალი შესანიშნავი ფორტეპიანოს დამკვრელი არტისტი გამოსჩენიათ. წარმოიდგინეთ, რომ რომელსამე კლუბის მშვენივრად მორთულ, სინათლით გაჩაღებულ ზალაში ათას-ფეროვანი, კოხტად ჩაცმულ-გამოპრანჭული საზოგადოება შეყრილა და მოუთმენლად მოელის არტისტის გამოსვლას, რომ მშვენიერის მუსიკით სმენა დაიტკბოს. აი კარი იღება და სცენაზე გამოდის კუდ აბზეკილი, წითელ პერანგში ჩაცმული არტისტი. არტისტი, კეკლუცად თავის დაკვრის მაგიერ, რამდენჯერმე ყირამალას გადადის, სასაცილოდ იგრიხება—იღმიჭეგა, ძერე უეცრად ახტება ფორტოპიანოზედ, ოთხის ფეხით ტყაპუნს დაუწყებს ფორტოპიანოს საკრავ ძელებს და საუცხოო, სასიამოვნო ხმას გამოაღებინებს სიმებსა.

ასე წარმომიდგენია, ის ახლად მოვლენილი პორტეპიანოს დამკვრელი არტისტი, რომელიც უცნაურ ამერიკელებს აღმოუჩენიათ. მკითხველი, მგონი მიხვდებოდა, ვინ უნდა ბრძანდებოდეს ეს არტისტი. ეს არტისტი გახლავთ მაიმუნი. როგორც ერთი იტალიანური გაზეთი „Travatore“ გვარწმუნებს, ერთს ამერიკელს მსწავლულს უცდია მაიმუნისთვის ფორტეპიანოზე დაკვრა ესწავლებინა. ამ მსწავლულს ერთი მაიმუნი ჰყოლია, რომელსაც სახელად ტაბიტა ჰქვიან. თურმე ნუ იტყვით, ამ მაიმუნ ტაბიტას ისეთი მუსიკის ნიჭი აღმოუჩენია, რომ 48 გაკვეთილის შემდეგ მთელი გამები (гаммы) მშვენივრად შეუსწავლია. აქ საკვირველი არაფერია. პატივცემული მსწავლული გვარწმუნებს, რომ ყველა მაიმუნს, ცოტად თუ ბევრად მუსიკის ნიჭი აქვსო. ხელის თითები ხომ ისე აქვთ მოწყობილიო, რომ თითქოს მაიმუნები განგებ ფორტეპიანოსთვის იყვნენ გაჩენილებიო.

თუ ეს მართალი გამოდგა, ეჭვი არ არის, რომ მაიმუნი აჯობებს ადამიანს ფორტოპიანოს დაკვრაში. ბევრს ეცოდინება, რომ ზოგიერთ მუსიკალურ პიესის დაკვრას ოთხი ხელი სჭირია. თუმცა ერთი ამერიკელი რეცენზენტი გამოჩენილ ფორტეპიანოს დამკვრელ რუბინშტეინზე ამბობს: «რუბინშტეინმა უცბად ფრაკის კალთები აიკრიფა, ჰაერში აფრინდა, მერე უეცრადვე დაეშვა და მთელის ხელის და ფეხის თითებით და იდაყვებით ფორტეპიანოს დაეცა და საშინლად ღრიალი დააწყებინაო»,—მაგრამ ჩვენ მაინც არა გვჯერა, რომ ეს ყოველგან და ყველასთვის შესაძლო იყოს. მაიმუნისთვის, რასაკვირველია, ეს ძალიან ადვილია, რადგანაც მაიმუნი ფეხებსაც ისევე ხმაროობს, როგორც ხელებს.

მხოლოდ აი ერთი რა არის დასაფიქრებელი. ყველამ იცის, რომ მაიმუნი მეტად მოუსვენარი, დაუცხრომელი და დაუდგრომელი სულიერია; თუ მუდმივ მოძრაობაში არ არის, ვერ გასძლებს. წამოიდგინეთ ეხლა, რომ მაიმუნი შესკუპებულა ფორტეპიანოზე და გატაცებული ბეტჰოვენის რომელსამე მშვენიერს სონეტს უკრავს. ამ დროს ვსთქვათ არტისტს თავში რაღაცამ უეცრად გაუელვა, ბეტჰოვენიც დაავიწყდა და მსმენელი საზოგადოებაც, წამოვარდა, შეხტა-შემოტრიალდა და მერე ისევ დაუბრუნდა გაწყვეტილ პიესას არტისტი. — ეს სასაცილო იქნება და იქნება სამუსიკო თუ არა, მაიმუნების გამწურთნავებს ეკითხოს.—საბრალოა ადამიანი! ერთი ეს გულ-უბრყვილო ხელოვნება ჰქონდა და საკუთარ კუთვნილებად მიაჩნდა, ეხლა ამასაც კი მაიმუნი შესცილებია!... „მოდი და ენდე ცრუ-სოფელსა!..“

კავკასიაში და ერთის წლის შემდეგ-კი სპარსეთში წავალ.

*** გაზ. «კავკაზ»-ის სიტყვით, ამ დღეებში ორი საფილოქსერო დასი წასულა ტფილისიდგან. ერთი ყუბანისაკენ აგრონომ ხოჯაევის მეთაურობით და მეორე სოხუმისკენ შიმანოვსკის მეთაურობითაო.

*** გაზ. „ყარსს“ იშვიათი მაგალითები მოჰყავს კაცის ხანგრძლივ სიცოცხლისა. ყარსის ოლქაში სცხოვრებენ თურმე შემდეგ წლოვანებას მიღწეულნი პირნი:

სოფ. გიუდალისში—გრიქორ მანუკოვი—104 წლისა; სოფ. გაჯიგალისში—გაჯი-დიმიტრის ძე აკრიტოვი—100 წ.; სოფ. ბერნაში—გამბარ ყორღანოვი—100 წ.; ვიზინკევში—იოსებ დიმიტრიევი—124 წ.; დიდს პარგეთში—მიასი ალი ყიზი—104 წ.; კანი-კეისში—ზარტარ კოსტანოვი—104 წ.; არგინოში—ინჯაკიზი—100 წ.; ბაშ-ბურაგელში—სარქის ოგანოვი—114 წ.; ყარაბეთში—ეგიდა კოსტონოვი—106 წ.; ყიზილ ბაშში—მარჯან კერბალაი—ბაბა-ყიზი—104 წლისა; ყმლში—ბირო-მუსტაფა-ოღლი—114; არდაგანის ოლქაში სოფ. დარინდალში მამედ-იბრაგიმ-ყიზი—100 წლისა და სოფ. თურქაშენში—სოფიო უონიკოვისა—114 წლისა.

უმაღლესად ებოძათ ჯილდო

წმ ვლადიმერი მე-4 ხარისხისა: თელავის მაზრის სოფელ იყალთოს დეკანოზს ეგნატე მრევლოვს.

წმ. ანნა მე-2 ხარისხისა: გორის მაზრის სოფელ კარბის მღვდელს სოლომონ კანდელაკს.

წმ. ანნა მე-3 ხარისხისა: ტფილისის მაზრის სოფელ წუნეთის მღვდელს იოანნე მახათაძეს; თელავის მაზრის, სოფელ ვარდის-უბანის მღვდელს ზაქარია მთვარელოვს და თიონეთის მაზრის, სოფელ სვიმონიანთ-ხევის მღვდელს იოანნე მრევლოვს.

მმართველობის განკარგულებანი

დანიშნულია: შინაგანთა საქმეთა სამინისტროს ბრძანებით 1886 წ. 10 მაისიდგან თელავის ტელეგრაფის სადგურის უფროსი მახგილაძე—თელავის შეერთებულ ფოსტისა და ტელეგრაფის კანტორაში უფროსად.

დაუნიშნავთ: სატელეგრაფო სამსახურის მცოდნე ალექსი იაკოვლევი და სტეფანე მღებროვი IV ხარისხის ტელეგრაფისტებად: პირველი—დუშეთში 23 მაისიდგან და მეორე—ბათუმში 30 მაისიდგან.

ნამდვილ სამსახურში ჩარიცხულ იქმნენ ტფილისის სატელეგრაფოს მოხელე იაგორ ყორღანოვი, რომანოზ ალნიევი, მიხეილ ანტონოვი და გორის ტელეგრაფის კანტორის მოხელე ერმოლაი პაპიტოვი.

გარდაიყვანეს: ტელეგრაფისტები ბათუმისა იოსებ დ, ალფონსი—სოხუმში; სოხუმისა ალექსანდრე ნანეიშვილი—ბათუმსა და დუშეთისა ნიკოლოზ დიდებულიძე—ცხინვალს.

ნაკვესი

ერთი ჩვენებური უმაწვილი კაცი მოვიდა პარიჟიდამ. ბიძა გამოელაპარაკა თურმე და ჰკითხა გულ-წრფელად:

— ჩემო დისწულო, პარიჟში რომ იყავი რა ისწავლე?

— პარიჟში პოლიტიკა ვისწავლე, ბიძავ.

— პოლიტიკა რა არის?

— პოლიტიკა ის არის, რომ კაცი კაცს მოატყუებს.

ეს რომ გაიგონა, ბიძამ შემოიკრა თავში ჩელი და სასოჯ-წარგვეთილებით უთხრა:

— ვაი შენ, ჩემო თავო! კაცო და,—პარიჟში რომ არ წასულიყავ, ჩემთვის გეთქვა და მე ასეთს კაცს მიგაბარებდი აქვე ჩვენში, რომ ორ-კვირაში ესწავლებინა შენთვის ეგ მეცნიერებაო.

ლელო

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Одесскій Вѣстникъ“-ში იბეჭდება მეტად საყურადღებო ბაასი, რომელიც ამ გაზეთის ერთს თანამშრომელს ჰქონია ქარხნების ზედამხედველ ბ-ნ მოდესტოვთან.

ბ-ნ მოდესტოვს ბევრი სისაძაგლე, ბევრი შემაძრწუნებელი მოთხრობა უამბნია ფაბრიკისა და ქარხნის მუშების ცხოვრებისა, მაგრამ ამასთან ესეც კი დაუმატებია: თუმცა მუშა ხალხი ფაბრიკებზე ძალიან ცუდ მდგომარეობაშიაო, მაგრამ მუშებში ბევრს ისეთ კაცსაც შეჰხვდებიო, რომელსაც დიდის ნიჭის ნიშან წყალი აშკარად ატყვია და ზეციური ნაპერწკალი უღვივით გულში. ესენი რომ ნამდვილ გზაზე იყვნენ დაყენებული, მთელს ქვეყანას გააკვირვებდნენ თავიანთ ნიჭითაო.

ჩვენში ხშირად გაისმის საჩივარი, უთქვამს შემდეგ ბ-ნ მოდესტოვს,—რომ ნიჭიერი კაცები არა გვყავს, ნიჭიერი კაცები აღარ იბადებიან ჩვენშიო. ეს ტყუილიაო! ნიჭიერები ბევრნი არიან, მაგრამ ან ვერა ვხედავთ, ან არ გვინდა დავინახოთო; საშუალებას არ ვაძლევთ, რომ ნიჭმა ცხოვრებაში გზა გაიკვლიოს, და ავარდეშოს ღვთისაგან მონიჭებული დიდი ძალაო. ასობით, ათასობით მოიპოვებიან ჩვენშიაც ფარადეებიო ყოველ გვარ ხელოსნებში, მაგრამ მრთელი ამათი ნიჭი დუქნებში, სამიკიტნოებში იღუპებაო. რათა? რათა და იმიტომ, რომ თუ რომელმა ამათგანმა განიზრახა თავის ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილება, რომელიც მას ჭღრღნის და მოსვენებას არ აძლევს, და სკოლას მიჰმართა, განა სკოლა ხელს მოუმართავს, შემწეობას აღმოუჩენს? სრულიადაც არა.

რამდენიმე წელიწადი მთელი თავისი ძალი და ღონე იმ საგნების შესწავლას უნდა შეაკლას, რომელიც ცხოვრებაში თითქმის სრულიად გამოუსადეგარია, და თუნდ კიდეც საჭირო იყოს, მაინც ყოველ შემთხვევაში ამის ნიჭის მიმართულებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამ გვარად არა ერთი ნიჭიერი კაცი სამუდამოდ იღუპება. სკოლის მაგიერ დუქნში მიდის და თაკის ნიჭს იქ ავარდეშებს. ამ სახით ის კაცი, რომელსაც მარტო ერთის რისამე ნიჭი აქვს და ამით დიდი სარგებლობის მოტანაც შეეძლო, სრულიად იკარგება საზოგადოებისთვისაო.

დიალ, სამწუხაროა ეს ამბავი და არა ერთხელ ყოფილა ამაზედ ლაპარაკი ლიტერატურაში. მაგრამ ყოველი ლაპარაკი ამის შესახებ.

***

პეტერბურგის ერთს მომრიგებელ მოსამართლესთან ამ დღეებში ერთი საინტერესო და თან სასაცილო საქმე ყოფილა გარჩეული. ერთს პრუსიის ქვეშევრდომს ქურდობა ჭბრალდებოდა. აი საქმე როგორა ყოფილა, როგორც გაზეთი „Новости“ მოგვითხრობს:

მომრიგებელ მოსამართლესთან წარსდგა კარგად ჩაცმული ახალ-გაზდა კაცი და ზდილობიანად თავი დაუკრა.

— ვინა ბრძანდებით?—ჰკითხავს მოსამართლე.

— არტისტი გოტკენეხტი გახლავართ.

— თქვენ ქურდობას გაბრალებენ, დანაშაულად სცნობთ თქვენს თავსა თუ არა?

— რას ბრძანებთ! მიკვირს... მე არტისტი... და... და... მიკვირს!

მომრიგებელ მოსამართლემ საჩქაროდ ბოლო მოუღო არტისტის განცვიფრებას: აიღო და დანაშაულობის ოქმი წაუკითხა.

აი რა აღმოჩნდა. ერთმა პეტერბურგის სასტუმროს პატრონმა შენიშნა, რომ ყოველთვის, როდესაც მას არტისტი გოტკენეხტი ესტუმრებოდა ხოლმე, უთუოდ ორი-სამი უკეთესი ხელ-სახოცი (სალფეტკი) იკარგებოდა. ბევრი ეცადნენ და ქურდი დიდს ხანს ვერ აღმოაჩინეს. ქურდი ისე ოსტატურად იქცეოდა, რომ ვერც ერთ-ხელ სასტუმროს მოსამსახურეებმა ქურდობაზედ ვერ მოასწრეს. ბოლოს სასტუმროს პატრონმა აი რა მოიგონა. სასტუმრო დარბაზი სარკეებით გაავსო. სარკეები ისე იყო მოწყობილი, რომ მეორე ოთახიდამ მოსამსახურეს შეეძლო თვალი ედევნებინა და ყველაფერი სარკეში დაენახა, რაც ზალაში ხდებოდა, და ამასთან სტუმრებიც არ შეეწუხებინა. ერთს დღეს არტისტმა გოტკენეხტმა ჩვეულებისამებრ გასწია იმ ადგილისკენ, სადაც ხელ-სახოცები ინახებოდა და ორი კარგის ფასის ხელ-სახოცი უბეში იკრა. საწყალი არტისტი რას მოიფიქრებდა, თუ მუხთალი სარკე გასცემდა და მეორე ოთახიდამ მოსამსახურე ამის ქურდობას აშკარად დაინახავდა. სასტუმროს პატრონმა მაშინვე პოლიციის მოხელე მოიწვია, არტისტს აქვე ქურდობა დაუმტკიცა და ხელ-სახოცები უბიდამ ამოაცალეს. როდესაც მოსამართლემ ეს ყველაფერი წაუკითხა, ხელ-მეორედა ჰკითხა:

— რას იტყვით, არც ეხლა იცნობთ თქვენს თავს დამნაშავედ.

— რას ბრძანებთ! მე არტისტი გახლავართ... დრამატიულს როლებს ვთამაშობ... პროვინციაში ყველა მიცნობს... არა, არა, არტისტს ქურდობა არ შეუძლიან.

— მაშ ხელ-სახოცები როგორ გიპოვნეს უბეში, ამაზედ რაღას იტყვით?

— აი საქმე როგორ იყო: მე ერთის მონოლოგის კითხვა დავიწყე. ამ მონოლოგმა სრულიად გიმიტაცა, მივედი შკაფთან, ავიღე ორი ხელ-სახოცი სახედამოფლის მოსაწმედად და თან როგორ გამამყვა, ის კი აღარ მახსოვს.

ეხლაც ეს ახირებული არტისტი ისე გაცხარებული და გატაცებული ლაპარაკობდა თურმე, რომ მომრიგებელ-მოსამართლემ საჭიროდ დაინახა სამი თთვით სატუსაღოში გაეგზავნა გასაგრილებლად და დასამშვიდებლადა.

უცხოეთი

ინგლისი. გაზეთები დაწვრილებით ლაპარაკობენ, როგორ უარ-ყოფ პარლამენტმა გლადსტონის პროექტი ირლანდიის თვით-მმართველობის გამო 26 მაისს. სალხი იმდენივე დაესწრო ამ დღეს კრებას, რამდენიც იყო მაშინ, როცა გლადსტონმა პირველად წარუდგინა პალატას პროექტი ირლანდიის შესახებიო. ამ დღეს გოშენმა იდაპარაკა სათ ნახევარი პროექტის წინააღმდეგ. გოშენს პარნელმა მისცა პასუხი და იდაპარაკა სიანჩხლით და მეტის-მეტი გაცხარებითაო. პარნელს უთქვამს სხვათა-შორის: „მეცა ვსწუხვარ, რომ ისეთი უწესობა მოხდა კენრის საგრაფოშიო, მაგრამ მაინც ვსცადოთ, მივანიჭოთ ირლანდიას თვით-მმართველობა და ჩვენ პირობას გაძლევთ, რომ მოვსპობთ ყოველ-გვარს უწესობასაო. რაიცა შეეხება პარლამენტის უპირატესობასა და პირველობასა, რასაკვირველია, რომ დუბლინის პარლამენტი ისეთი ვერ იქნება, როგორსაც გრადტტონი ითხოვდა, არამედ ძეორე სარისხის საკანონ-მდებლო დაწესებულება იქმნება მხოლოდაო. თვით ირლანდიის ერის სარგებლობა მოითხოვს, რომ მან ბოროტად არ მოიხმაროს პროექტით მინიჭებული უფლება, სოლო თუ ბოროტად მოიხმარს, საიმპერატორო პარლამენტს შეუძლიან ჩაერიოს საქმეშიო. პროექტი მიღებულ იქმნა ყველა მეთაურის გაცისაგან ირლანდიასა, ინგლისსა და შეერთებულს შტატებშიო; ირლანდიის ერი ხომ ამ პროექტს სულითა და გულით მიეგება, სისარულით ადიგსო, სამართლიანობის და მადლიერობის გრძნობას სამზღვარი არა ჰქონდაო“. შემდეგ იდაპარაკა სერ მისაელ გიქს-ბიჩმა პარნელის წინააღმდეგ.

გიქს-ბიჩის წინააღმდეგ იდაპარაკა გლადსტონმა. გლადსტონი დაპარაკობდა სასთ ნახევარს. პირველს სასთზე ჩამოატარა პალატამ კენჭი და უარ-ჰყო პროექტი 341 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 311. ამ გარემოებამ დიდი ალიაქოთი ასტეხა პალატაში. ერთი მომხრეთგანი ირლანდიის თვით-მმართველობისა წამოდგა და სთქვა, რომ მადლობა გადუხადოთ დიდებულს მოხუცსაო. კაბინეტის ყველა მომხრენი, აგრეთვე ერთი წევრთგანი კაბინეტისა ვიღიამ გრეგური, კინლეური საზინისა ფესზე წამოდგნენ და ამით პატივი სცეს გლადსტონს. ამის შემდეგ კიდევ მეორე წამოდგა და სთქვა, სამჯერ ზედი-ზედ გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ არ მოგვწონს ჩემბერლენი და მისი ქცევაო. ასტედა თურმე საშინელი ყიჩიჩმული. ამ სახით გათავდა ყველაფერი, პალატა დაიშალა და დეპუტატები ჰყვიროდნენ: „მარად გლადსტონი და სხვა არავინო!“

გაზეთების უმეტესობას ძალიან უსარიან გლადსტონის დამარცხება ამ საქმეში. „Standard“-ი ამბობს, რომ მთავრობა სრულიად დამარცხდა, გლადსტონმა დაჰკარგა სასელი და დიდება სახელმწიფო კაცისაო და თავის დასის ნდობა-კი აღარ აქვსო.

ავსტრია. გაზეთების სიტყვით, ვენაში ამ აზრისანი არიან, რომ აღარ შეიძლება კოლომან ტისამ მართოს ვენგრიის პარლამენტის საქმეო. იმის მაგივრად დაინიშნება პირველ-მინისტრად გრაფი ანდრაშიო.

პეშტის უწესობა ჯარს მოუსპია საიდუმლო პოლიციის უფროსის წყალობით. ამ უფროსის რჩევით ბლომად თურმე მოუწოდეს ჯარს. ჯარი ისე დადგა ქუჩებში, რომ გულ-ამღვრეულმა სალხმა ვეღარა გაუწოო რა და 710 კაცი დაატუსაღა პოლიციამაო. ამათში მომეტებული საწილი შენიშნულები იყვნენო.

მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ დატუსაღებულნი ორს დღეს მშიერ-მწყურვალნი იყვნენო, გვაუწყებს ამ დაუჯერებელს ამბავს გაზეთი «Новости»—და მერე გაარჩევენ, ვინ არის მათში ნამდვილი დამნაშავე და ამბოხის მომხდენიო. ვინც უდანაშაულოა, გაანთავისუფლებენ, ვინც არა და—კვლავ დატუსაღებენო.

ბოლგარია. ბოლგარიიდამ საყურადღებო ამბები მოდისო, ამბობენ გაზეთები. მთავრობას განზრახვა აქვს მოწინააღმდეგე დასს დაუშალოს როგორმე და არა ითქვეინოს-რა იმ ჭლანის წინააღმდეგ, რომელიც თავათა აქვსო. ხოლო ეს ჭლანი ის არის, რომ მთავრობას უნდა უმრავლესობის შემწეობით აღიარონს დაუმოკიდებლობა გაერთიანებულის ბოლგარიისაო. ამ ჭლანის მოწინააღმდეგენი კრებაში სულ 30 კაცამდე იქმნებიან მთავრობის ანგარიშითაო.

საფრანგეთი. ზოგიერთი გაზეთები ძალიან ეწინააღმდეგებოდნენ თურმე პრინცების განდევნის საქმეს მთავრობის მიერ. გაზ. „Temps“-ი ამბობდა, რომ არას დროს პარლამენტს ასეთი ცუდუბრალო ლაპარაკი არა ჰქონია, როგორც ეხლა, როცა პრინცების განდევნაზე აქვს სჯა და ბაასიო. გაზეთი ამბობს, რომ მთავრობისათვის ის უფრო ძნელია პრინცები საფრანგეთიდამ განიდევნონ, ვიდრე საფრანგეთშივე დარჩენნო. გაზ. «Journal des Debats»-იც წინააღმდეგია პრინცების განდევნისაო. პრანცების განდევნა სამზღვარ გარედ ძალიან ცუდად იმოქმედებს ევროპაზეო. რადიკალებური მართვა ქვეყნისა უიმისოდაც ბევრს ზარალს აძლევს საფრანგეთს ევროპაშიო და აძნელებს დიპლომატებურს ურთიერთობასაო. ეს ერთი და მეორეც, რესპუბლიკა დიდად შესტდება, თუ პრინცებს განდევნისო: რესპუბლიკისათვის ისა სჯობიან, რომ პრინცები მუდამ სელში ჰყვანდესო.

გრაფი პარიქელი შვეიცარიაში აპირებს თურმე დასასვლებას, თუ ვინიცობაა განაძევეს საფრანგეთიდამ. გრაფს უკვე შეიდნია მამული ფაგრი, რომელიც ეკუთვნოდა სენ-ლოტრდის გვირაბის მეპატრონესაო. შვეიცარია ამბობს თურმე, თუ მშვიდობიანად იქმნება და ჩვენ მიწა-წყალზე არავითარს უსიამოვნობას არ აუტეხს საფრანგეთს, გავუმასპინძლდებით გრაფსა და თუ დაიწყო რაიმე წინააღმდეგობა, ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ ჩვენს მეზობელს მოგვამდურონ გრაფმაო.

ანგარიში

ქართულ დრამატიულ საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ანგარიში მომავალის წლისა: 1 ენკენისთვიდამ 1886 წლისა—1 ენკენისთვემდე 1887 წლისა.

ამ წლის იანვარს ამორჩეულმა ახალმა მმართველობამ ჩაიბარა ადრინდელ მმართველობისაგან ბიბლიოთეკა და ნივთეულობა საზოგადოებისა. მმართველობის კასსაში ფული სრულებით არ აღმოჩნდა, ბიბლიოთეკა და ნივთეულობა-კი ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ იმის რიგზე მოყვანა, შესრულება და განახლება მოითხოვდა ბევრს სარჯს. ახალმა მმართველობამ, ვიდრე ამას იკისრებდა, განიზრახა პროგრამმის შედგენა საზოგადოდ ყველა თავის მომავალ მოქმედებისათვის. ამის გამო, რა მიაქცია ყურადღება საზოგადოდ ქართულის თეატრის საქმეს, დარწმუნდა, რომ ქარ-

თულს სცენას ბირველ სანებში ბევრი თანამგრძნობი ᲒᲔᲜᲐᲠᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲣᲚᲘ, სარეპერტუარო და მატერიალური ძალა ᲒᲔᲥᲝᲜᲓᲐ, რომ შემდეგ მომეტებულის წარმატებით დაემკვიდრა თავის გაგლენა და დარჩენილიყო სამუდამოდ. მაგრამ ამის მაგიერ ქართულს დასს, შემდეგ, როგორც საზოგადოებამაც იცის, მოემატა ტოტა და დაკლდა ბევრი. არტისტიული ძალა, რეპერტუარი, სცენის მოწყობილობა, მაყურებლების რიცხვი, ყველა ეს ესლა თითქო ნაკლები იყოსო, ვიდრე ამ სუთიოდ წლის წინად.

რა ნახა ეს სამწუხარო მდგომარეობა ქართულის სცენისა, მმართველობა შეუდგა განხილვას ყველა იმ მიზეზებისას, რომლებმაც მიიყვანეს ქართულ თეატრის საქმე ესენებულ სამწუხარო მდგომარეობამდე, რომლის უარესი დატება შეუძლებელიაა, და დარწმუნდა, რომ ქართულ დასს ყველაზე მეტად აკლდა თეატრის უანგარო მოყვარეთა და განათლებულ ბირთა დახმარება. მმართველობა დარწმუნდა, რომ ამ გვარ დახმარებით და სულმძღვანელობით ქართულ დრამატიულ დასს შეუძლიან მოიზიდოს თავისკენ ყველა უკეთესი არტისტიული ძალა, რომელიც კი არსებობს საზოგადოებაში, ის ძალა, რომლის არსებობაში ყველა ჩვენგანი დარწმუნებულია; მოიზიდოს უკეთესი ქართული მწერლები თეატრისათვის საშუშაოდ,—მოაწყოს სცენა სელოვნურად, ჯაფის და ფულის დაუზოგველად და მაშინ უეჭველია ქართული თეატრი ნამდვილ-ესტეტიურად ასიამოვნებს ჩვენს საზოგადოებას, მოიზიდავს მას თავისკენ ხშირად და ამაში იბოვის ძალას, რომ უფრო-და-უფრო გაუკეთესდეს შემდეგაც; მაშინ ორიოდ კაცის მაგიერ, რომელნიც დადიან ესლა თეატრში არა თავის გასართობად და გულის და ჭკვის სასიამოვნოდ, არამედ მხოლოდ პატრიოტიულის გრძნობით აღფრთოვანი, ვნახავთ, რომ ამ დადონებულ სალხის მაგიერ თეატრის დარბაზში მოზიდულა აღტაცებული, მსიარული სალხი, რომელსაც აუვსია თეატრი და თხოულობს კიდეც იმის გადიდებას.

ამის გამო მმართველობა შეუდგა ანგარიშს, თუ რა დუჯდება, რომ თავის თავზე იკისრის დასის სულ-მძღვანელობა. მმართველობამ გამოიანგარიშა, რომ ყოველი მისგან გამართული წარმოდგენა ვარაუდით რომ ვთქვათ, მისტემს თხუთმეტ თუმანს (თუ თითეში გაიმართება ექვსი წარმოდგენა). ზამთრის სეის თითეის განმავლობაში ამ გვარად შემოსავალი ექნება 4,500 მანათი. სარჯი კი დასის შენახვაზე ამავე დროს, საზოგადოებას ექნება 5,820 მან., ე. ი. 1,320 მანათით მეტი, ვიდრე შემოსავალი. ამის გამო მმართველობამ უნდა ეიოს, წარმოდგენის შემოსავლის გარდა, სხვა საშუალებაც, რომ დასის სარჯს აუვიდეს. თუ მიგიღებთ მხედველობაში, რომ მმართველობამ უკანასკნელთ თითეებში გამართა საზოგადოების სასარგებლოდ ერთი ბალი თბილისის კრუკოგში, თეატრში ერთი სალიტერატურო საღამო, ერთი წარმოდგენა და თავის წევრებისაგან მოაგროვა საწევრო ფული, სულ 792 მან. 10 კაპ., მაშინ სადასო ზარალის ასაცილებლად საჭირო იქნება 707 მან. 90 კაპ., რომელიც უეჭველია შემოგვიგა იმ ბალიდამ, რომლის გამართვასაც მმართველობა აპირებს მერმისს, და იმ წევრებისაგან, რომელთაც ჯერ საწევრო ფული არ შემოუტანიათ.

ამ ანგარიშის დაგვარად მმართველობა კისრულობს სამერმისოდ, სუთის თითეით, ქართულის დრამატიულის დასის შენახვას, თუმცა გრძნობს ყველა იმ სიძნელეს, რომელიც წინ დაუსვდება მას ამ გზაზე. სიძნელე ამ საქმისა შესდგება შემდეგ გარემოებებში:

1) ესლ რეპერტუარის შესადგენად ფული არ დარჩება.

2) ესლ ტანისამოსის შესაძენად აგრეთვე.

3) რომ საკმაო არტისტიული და რეჟისსორული ძალა ვერ შეეგრიბოს ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ, მაშინ მისი შემლება უნაყოფოდ დაისარჯება და საქმის ხელ-მეორედ აღდგენა ძნელი-და იქნება.

4) შეუსებელ თეატრალურ ფონდის შედგენა შეუძლებელი-და იქნება.

მაგრამ ყველა ამ სიძნელის თავიდამ ასაშორებლად მმართველობამ შესაფერი ღონის-ძიება გამოსძებნა და წარმოგიდგენთ თქვენ განსახილველად.

1) რეპერტუარის გაუმჯობესობისათვის მმართველობამ გადასწყვიტა დაუნიშნოს ალილის, ჯერ არსად წარმოდგენილის ბიესების დამწერს 10%-მდე წარმოდგენის შემოსავლიდამ, თუ ბიესა ორიგინალურია, და 5%-მდე—თუ გადმოკეთებული ან გადათარგმნულია.

2) მმართველობა შეუდგება ყველა იმ ნივთეულობის შეგროვებას, რომელიც ოდესმე დრამატიულ საზოგადოებას ეკუთვნოდა და შემდეგ დაფანტული იყო; სიას შეუდგენს ასლ საყიდავ ნივთეულობას, და წარუდგენს ამ სიას მერმისს საზოგადოების კრებას, რომ შემდეგ შეიძინოს; იმ დრომდე კი მმართველობა ეცდება იგმაროს ძველი საკუთარი და ნაქირავი ნივთეულობა.

3) მმართველობა ყველა ღონის-ძიებას ისმარს, რომ შემოდგომამდე საკმაო არტისტიული ძალა მოაგროვოს დასისათვის, მაგრამ თუ ეს ვერ შეიძლო, მმართველობა თავის ვალად ჩასთვლის დასის შედგენიდამ ხელი აიღოს და ამის მიზეზი დაწვრილებით შეატყობინოს მორიგ ურიდობას საზოგადოებისას, ენკენისთვეში. მაშინ მართველობა წარუდგენს საზოგადოებას თავის მოსაზრებას იმაზე, თუ როგორ გაანაწილოს თავის შემოსავალი რეპერტუარის გასაუმჯობესებლად, ნივთიეულობის შესაძენად და ხელ-შეუსებელ სათეატრო ფონდის შესადგენად.

4) ამ უკანასკნელ ფონდში, თუ დასი შეადგინა მმართველობამ, ჩაირიცხება მხოლოდ ყველა ის, რაც დასსის სარჯიდამ გადარჩება მერმისს შემოსავლიდამ.

დეპეშა

5 ივნისს

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ბავარიის კორონის გარდაცვალების გამო უმაღლესი სამეფო სახასხლე 24 დღეს იგლოვებს.

«Новое Время» გვაუწყებს, რომ უკანასკნელი კრება სახელმწიფო რჩევისა მოუნდა საბოლოოდ განსჯას ბროექტისას ცხრა დასავლეთის გუბერნიის ხიზნების (вѣчные чиншевики) ეოფა-ცხოვრებისას. რჩევას ᲒᲔᲥᲝᲜᲘᲐ სჯა აგრეთვე მამულების დაფასების ბროექტის გამო. ამ დაფასების მიხედვით უნდა გადასწყვეტენ, მამულების გამოსასყიდი ფული რამდენი უნდა შეიტანონ გლეხებმა. ვინც ხიზნად სთვლის თავის თავს, უნდა საბუთებით, ან მოწმეთა ჩვენებით დაამტკიცონ, რომ ნება აქვს ხიზანის წესით მამულის ჭერისა, რათა გამოსყიდვა შეეძლოს; ხოლო ვინც ამისთანა დამტკიცებას არ წარმოადგენს და ასალს საიჯარადრო ბირობას არ შეჰკრავს, უნდა თავი დანებოს მამულებს ხუთის წლის შემდეგ, მას დღეს აქეთ, რაც ამის შესახებ კანონი ძალაში შევა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ინგლისის ბოლკოვნიკი ლეკარტი, რომელიც ჯარის კარებით მიდიოდა ჩიტრალიდამ ბადიშანის გზით იქ, ს